



უმბერტო ეკო

ფუკოს ქანქარა

დიდგენის
ბიბლიოთეკა

უმბერტო ეკო
ფუკოს ძანძარა

Umberto Eco
IL PENDOLO DI FOUCAULT

იტალიურიდან თარგმნა ხათუნა ცხადაძემ

IL CIMITERO DI PRAGA by Umberto Eco, 2010

© 2018 La nave di Teseo Editore, Milano

All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016, 2018, 2023

ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-783-1

www.diogene.ge

სარჩევი


ქითერ.....	15
1. როცა უსასრულობის შუქი.....	17
2. ურიცხვ და უცნაურ საათს იხილავ.....	26
ხონმა	39
3. In hanc utilitatem clementes angeli.....	41
4. ვისაც ფილოსოფოსთა ვარდნარში სურს შეღწევა	51
5. და დაიწყო ამ სახელის ასო-ნიშანთა გადაადგილება	56
6. Judá León se dio a permutaciones.....	68
ზინა	73
7. ბევრს ნურაფერს მოელით სამყაროს აღსასრულისგან	75
8. სინათლისა და ღმერთების შვილი.....	81
9. მარჯვენა ხელში მოოქროვილი საყვირი ეპყრა	88
10. და, ბოლოს, კაბალისტურად სხვა არაფერი გამოდის სიტყვიდან vinum	92
11. უსასრულო იყო მისი უნაყოფობა.....	100
12. Sub umbra alarum tuarum.....	106
13. Li frere, li mestre du Temple	115
14. თავად ჩვენი მაცხოვრის მკვლელობასაც აღიარებდა.....	136
15. გრაფ დ'ანჟუს ვთხოვ დახმარებას	150
16. დაპატიმრებამდე მხოლოდ ცხრა თვე ვიყავი ორდენის წევრი....	157
17. ასე გაქრნენ ორდენის რაინდები	166
18. შეძრწუნებულები ვიხილავდით ყველა მხარეს ღრმულებსა და ქვაბულებს	174
19. ორდენს არსებობა არ შეუწყვეტია	183
20. უხილავი და უზენაესი მმართველი იქნება გმირი.....	193
21. გრაალი ისე მძიმეა.....	205
22. აღარ უნდოდათ, ვინმეს რამე ეკითხა მათთვის.....	210
ხესაღ	217
23. საპირისპიროთა ანალოგია	219
24. Sauvez la faible Aischa.....	224
25. ყველანი, საიდუმლოს ნაზიარებნი.....	230

26. დედამიწის ყოველი სწავლება	234
27. ერთ დღეს ჰყვებოდა, როგორ გაიცნო პილატე პონტოელი	241
28. არსებობს სხეული, რომელიც მთელ სამყაროს მოიცავს.....	247
29. მხოლოდ იმ მარტივი გარემოების გამო, რომ მაღავენ სახელს ...	254
30. და ვარდისა და ჯვრის უკვე ცნობილი საძმო.....	261
31. შეიძლება, იმათი უმრავლესობა, ვინც თავს როზენკროიცერად თვლიდა	270
32. Valentiniani per ambiguitates bilingues	274
33. ხილვები თეთრი, ლურჯი და მოთეთრო-ალისფერია	278
ბჰურა	289
34. Beydelus, Demeymes, Adulex	291
35. მე მქვია ლია	301
36. უფლება მომეცით, რჩევა მივცე.....	305
37. ის, ვინც ამ ოთხ რამეზე ფიქრობს.....	313
38. იდუმალი მაგისტრი, სრულყოფილი მაგისტრი	318
39. ციურ სხეულთა რაინდი	326
40. ლაჩარი სიკვდილს ბევრჯერ გემობს თვით სიკვდილამდე.....	334
41. იმ წერტილში, სადაც უფსკრული	337
42. ჩვენ ყოველთვის ვთანხმდებით ერთმანეთში	344
43. ადამიანები, რომლებსაც ქუჩაში ვხვდებით.....	349
44. მოუხმო ძალებს	355
45. ამ ყველაფრიდან საოცარი შეკითხვა იბადება.....	359
46. ბევრჯერ მიეახლები გომბემოს	366
47. გრძობებს ეფხიზლათ და მეხსიერება არ მოდუნებულყო	372
48. საკმაოდ ზუსტი მიახლოებით.....	379
49. ტამპლიერული რაინდობის ტრადიციას.....	385
50. მე ვარ პირველი და ბოლო.....	391
51. როცა კაბალისტი ბრძენი	401
52. უზარმაზარ ჭადრაკის დაფას, რომელიც მიწისქვეშაა გაშლილი ...	406
53. რადგან ღიად არ შეუძლია მართოს მიწიერთა ბედ-იღბალი.....	410
54. წყვდიადთ უფალი	420
55. თეატრს ვუნოდებ	423
56. ჩაჰბერა თავის ბრწყინვალე საყვირს.....	431
57. ყოველ მესამე ხეზე, ორივე მხარეს, სანათური ეკიდა.....	439
58. ალქიმიის უმანკო მეძავია	449

59. და თუ ასეთი ურჩხულები იბადებიან.....	455
60. საბრალო ბრიყვო	458
61. ამ ოქროს სანმისს	462
62. დრუიდულ საზოგადოებებად შეიძლება ჩავთვალოთ	466
63. რას გაგონებს ის თევიზი?	471
თიფირაი	479
64. უცნობ ქალაქში ცხოვრება თუ დაგესიზმრა	481
65. ექვსი მეტრი იქნებოდა სიგანეში.....	486
66. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია	492
67. Da Rosa, nada digamos agora.....	498
68. შენი სამოსი იყოს სპეტაკი.....	504
69. Elles deviennent le Diable.....	513
70. გვახსოვს იდუმალი მინიშნება	515
71. ზუსტად არც კი ვიცით	520
72. Nos invisibles pretendus	525
73. კიდე ერთი საინტერესო შემთხვევა	529
74. თუმცა კეთილია მისი ნება.....	545
75. შედგომილები ამ გზის ზღვარზე დგანან.....	550
76. დილეთანტიზმი	555
77. ამ მცენარეს „ემმაკის განმდევნელს“ ეძახიან	565
78. დარწმუნებით ვიტყვოდი, რომ ეს გულის ამრევი ნაჯვარი.....	569
79. სკივრი გახსნა	574
80. როცა სითეთრე ჭარბობს	578
81. ერთი აფეთქებით ნაცარტუტად აქცევენ დედამიწას	580
82. დედამიწა მაგნიტური სხეულია	584
83. რუკა ტერიტორია არ არის	591
84. ვერულამის მითითებათა მიხედვით.....	596
85. ფილემას ფოგი. სახელი, რომელიც თავისთავად მიგვანიშნებს შინაარსზე.....	599
86. მათ მიმართა ეიფელმა თავისი კოშკის ასაგებად	601
87. საინტერესო დამთხვევა.....	603
88. ტამპლიერობა იგივე იეზუიტობაა	607
89. ღრმა წყვდიადის კალთაში შეიქმნა	613
90. ტამპლიერებს იმავე სიბინძურეებს მიაწერენ	615
91. რა მოხდენილად ამხილეთ ის ჯოჯოხეთური სექტები.....	618

92. სატანის მთელი ძლიერებითა და შემზარაობით	620
93. ჩვენ კი კულისებში ვიმალებით	623
94. En avait-il le moindre soupçon?	625
95. ებრაელ კაბალისტებზე	627
96. დამალვა მუდამ საჭიროა	631
97. მე ვარ, რომელიც ვარ.....	636
98. რასისტული გნოსისით, რიტუალებით	652
99. მაიმუნისებრ არსებებს პლუს ჯავშნოსანი დივიზია	656
100. ვუცხადებ, რომ დედამინა ღრუა	658
101. Qui operatur in Cabala	663
102. უზარმაზარი, სქელი კედელი.....	665
103. შენი საიდუმლო სახელი 36 ასოსაგან იქნება შემდგარი	670
104. ეს ტექსტები ჩვეულებრივ მოკვდავთათვის არაა	675
105. Delirat lingua, labat mens	678
106. სია № 5.....	683
ნეცახ	697
107. მანდ შავი ძალლი	699
108. ამ ყველაფერში სხვადასხვა ძალაა ჩარეული.....	707
109. სენ-ჟერმენი... ძალიან დახვეწილი და ხუმარა კაცი	716
110. და შეეშალათ სვლა, უკულმა ნავიდნენ.....	724
111. C'est une leçon par la suite	730
ჰოდ	735
112. ჩვენი ცერემონიებისა და რიტუალებისთვის.....	737
113. ჩვენი საქმე საიდუმლოა	745
114. იდეალური ქანქარა	768
115. თვალს რომ იმ დემონების დანახვა შეეძლოს.....	772
116. Je voudrais être la tour.....	778
117. გადავსებულა ბრიყვთა დარბაზები, თვალუნვდენელი.....	783
იესოდ	789
118. კონსპირაციის სოციალური თეორია	791
119. საყვირის გვირგვინს ცეცხლი მოედო	803
მალქუთ	817
120. ცუდი ისაა, დარწმუნებული არიან, რომ სინათლე მათ მხარესაა	819

სეფიროთების ხე	10
Cesare Evola, <i>De Divinis attributis, quae Sephirot ab Hebraeis nuncupantur</i> , ვენეცია, 1589. გვ. 102	
ნანყვეტი, იცხაკ ლურია („სინათლის გავრცელება ვაკუუმში“)	17
P.S. Gruberger, <i>Ten Luminous Emanations</i> , ტომი 2, იერუსალიმი, 1973, გვ. 7	
წრიული დიაგრამა	186
Tritemio, <i>Clavis Steganographiae</i> , ფრანკფურტი, 1606	
The Seal of Focalor	201
A.E. Waite, <i>The Book of Black Magic</i> , ლონდონი, 1898	
Monas Ieroglyphica	546
J.V. Andreae, <i>Die Chymische Hochzeit des Christian Rosencreutz</i> , სტრასბურგი, Zetzner, 1616, გვ. 5	
მსოფლიოს რუკა, ტურინის ბიბლიოთეკა (XII ს.)	594
Léon Gautier, <i>La Chevalerie</i> , პარიზი, Palmé, 1884, გვ. 153	
მსოფლიოს რუკა	594
Macrobio, <i>Somnium Scipionis</i> , ვენეცია, Gryphius, 1565, გვ. 144	
კოსმოგრაფიული პლანისფერო	594
Robert Fludd, <i>Utriusque Cosmi Historia</i> , II, <i>De Naturae Simia</i> , ფრანკფურტი, de Bry, 1624, გვ. 545	
Epilogismus Combinationis Linearis	612
A. Kircher, <i>Ars Magna Sciendi</i> , ამსტერდამი, Jansson, 1669, გვ. 170	
წრიული დიაგრამები	692
Tritemio, <i>Clavis Steganographiae</i> , ფრანკფურტი, 1606	



ფუკოს ქანქარა

„მეცნიერების შვილნო, სწავლას მონყურებულ-
ნო, მხოლოდ თქვენთვის დაინერა ეს ნაშრო-
მი. ჩაუკვირდით ამ წიგნს, დაე თქვენი გონება
ჩასწვდეს მის ფარულ განზრახვას და ფარდა
ახადოს ამ სტრიქონებში დამალულ სიბრძნეს“.
(ჰაინრიხ კორნელიუს აგრიპა ფონ ნეტესჰაი-
მი, „ოკულტურ ფილოსოფიაზე“, 3,65)

„ცრურწმენას უბედურება მოაქვს“.
(რეიმონდ სმალიანი, ძვ. წ. 5000 წ. 1.3.8.)

1. ქვეთვი

(ב) והנה בהיות אור הא"ש נמשך,
 בבחינת (ה) קו ישר תוך החלל,
 הנה לא נמשך ונתפשט (ו) תיכף
 עד למטה, אמנם היה מתפשט לא
 אט, אלא רצוני לומר, כי בתחילתה
 חיל קו האור להתפשט, ושם תיכף
 (ז) בתחילת התפשטותו בסוד קו,
 נתפשט ונמשך ונעשה, כעין (ח)
 גלגל אחד עגול מסביב.

მაშინ დავინახე ქანქარა.

თაღოვან ქოროში გრძელ თოკზე დაკიდებული, მოქანავე სფერო იზოქრონული მედიურობით ხაზავდა რხევის ტრექტორიებს.

ვიცოდი – იმ, სუნთქვასავით მშვიდი მოძრაობით მონუსხული, ნებისმიერი იგრძნობდა ამას – რომ რხევის პერიოდს განსაზღვრავდა თოკის სიგრძიდან კვადრატული ფესვის მნიშვნელობის კავშირი π -სთან, რომელიც, მთვარისქვეშეთის ბინადართათვის ირაციონალური, რალაც ღვთიური გონების ძალით, ნებისმიერი შესაძლო წრის გარშემოწერილობას მისსავე დიამეტრს უკავშირებს. ისიც ვიცოდი, რომ დრო, რომელსაც მოქანავე სფერო ერთი ბოლოდან მეორემდე მისვლას ანდომებს, საზომთაგან ყველაზე ზედროულ საზომებს შორის რალაც საიდუმლო შეთქმულების შედეგია: თოკის მიმაგრების ნერტილის ერთადერთობის, აბსტრაქტული სივრცის დუალურობის, π -ს სამბუნებოვნების, ფესვის ნიშნის იდუმალი კვადრატულობისა და წრის სრულყოფილების კავშირის შედეგი.

ისიც ვიცოდი, რომ რხევის შვეული ხაზის ქვეშ მოთავსებული მაგნიტი სფეროში ჩამალულ ცილინდრზე ზემოქმედებდა და რხევის მუდმივობას უზრუნველყოფდა: ეს ხელსაწყო, რომელიც მატერიის წინააღმდეგობას უპირისპირდებოდა, კი არ არღვევდა ქანქარას კანონს, არამედ პირიქით, ხელს უწყობდა მის გამოვლენას, რადგან ვაკუუმში უჭიმვად, უწონო ძაფზე დამაგრებული ნებისმიერი მატე-

რიალური წერტილი, რომელზეც არც ჰაერის წინაღობა მოქმედებს და არც ხახუნის ძალა მიმაგრების წერტილში, მოწესრიგებულად და უსასრულოდ იმოძრავებდა.

სპილენძის სფერო მკრთალად ლიცლიცებდა ვიტრაჟებიდან შემოსული დაისის შუქზე. ქოროს იატაკი სველი ქვიშით რომ ყოფილიყო დაფარული, რომელსაც სფერო ყოველ გავლაზე შეეხებოდა, მისი სხვადასხვა მიმართულებით დატოვებული ნაკვალევები სხივების ბადის თუ გორგლის მსგავს ნახაზს წარმოქმნიდა ქვიშაზე და მანდალის ჩონჩხის, პენტაკულუმის, იდუმალი მნათობის, მისტიკური ვარდის უხილავი სტრუქტურის მსგავს სხივურ სიმეტრიას გადაუშლიდა თვალწინ მაყურებელს: ნახატს, რომელიც უსასრულო ამბავს, უდაბნოს ტრამალზე სისხლიანი ქარავნების კვალით ნაქარგ, უხსოვარი დროის მონათხრობს დაემსგავსებოდა: ათასწლეულებში ნელი, მარადიული ხეტიალის ამბავს. ალბათ, სწორედ ასეთი ჯიუტი აკვიატებით მიიწვედნენ მუს კონტინენტის ატლანტები ტასმანიიდან გრენლანდიამდე, თხის რქიდან კირჩხიბის ტროპიკამდე, პრინც ედუარდის კუნძულიდან სვალბარდამდე. სფეროს ზედაპირი სწრაფად, ხელახლა ჰყვებოდა ყოველივეს, რაც მოგზაურებს ერთი გამყინვარებიდან მეორემდე ეკეთებინათ და ალბათ, ახლაც აკეთებდნენ, თუმცა ახლა უკვე ახალ მბრძანებელთა კარნახით. ასე, სამოის კუნძულებიდან ახალ მიწამდე ქანაობდა სფერო და წონასწორობის წერტილში, ალბათ, აგარტს, სამყაროს ცენტრს ეხებოდა. და ვგრძნობდი, როგორ ლაგდებოდა ერთ სიბრტყეში ავალონი, ჰიპერბორეა და სამხრეთის უდაბნო, სადაც აიერს-როკის საიდუმლო ინახება.

მაშინ, იმ 23 ივნისის ოთხ საათზე, ქანქარა მოძრაობდა: კიდეს მიახლოებული სვლას ანელებდა და ისევ უკან ბრუნდებოდა, რათა ცენტრისკენ ისევ აეკრიფა სიჩქარე და ასე, უსასრულოდ, ჯიუტად ებრძოლა უხილავ ძალებთან, ალყაში რომ მოემწყვდიათ მისი ბედისწერა.

დიდხანს რომ დავრჩენილიყავი, გამედლო და საათობით მე-
ყურებინა იმ ნისკარტის, შუბისა თუ ამოყირავებული მუზარადის
წვერისთვის, რომელიც სიცარიელეში ხაზავდა საკუთარ დია-
გონალებსა და ასტიგმატური გარშემონწერილობის კიდურა წერტი-
ლებს ეხებოდა, ალბათ, რაღაც წარმოსახვითი ილუზიის მსხვერ-
პლი გავხდებოდი, რადგან ქანქარა დამაჯერებდა, რომ რხევის
სიბრტყემ სრული ბრუნი შეასრულა, სანყის წერტილს დაუბრუნ-
და ოცდათორმეტ საათში და გაბრტყელებული ელიფსი მოხაზა –
ელიფსი, რომელიც საკუთარი ცენტრის გარშემო ბრუნავს მუდმივი
კუთხური სიჩქარით, რომლის მნიშვნელობა განედის სინუსის პრო-
პორციულია. როგორ იბრუნებდა ელიფსი, იმ ძაფის წვერი სოლო-
მონის ტაძრის გუმბათის ცენტრში რომ ყოფილიყო დამაგრებული?
რაინდებს იქაც ექნებათ ნაცადი, თუმცა სიჩქარის რიცხვითი მნიშ-
ვნელობა, ალბათ, მაინც არ შეიცვლებოდა. იქნებ სწორედ სენ-მარ-
ტენ-დე-შამის სააბატოს ეკლესია იყო ნამდვილი ტაძარი? ექსპერი-
მენტი იდეალური მხოლოდ პოლუსზე გამოვიდოდა: ეს ერთადერთი
ადგილია, სადაც სფეროს ჩამოკიდების წერტილი დედამიწის ლერ-
ძის გაგრძელებაზე განთავსდებოდა და ქანქარა თავის წარმოსახ-
ვით ციკლს ზუსტად ოცდაოთხ საათში დაასრულებდა.

მაგრამ ეს არ ყოფილა *კანონიდან* გადახვევა (რომელსაც, სხვათა
შორის, თავად *კანონიც* ითვალისწინებდა). ეს არ იყო უზენაესი ნორ-
მის დარღვევა, რომელიც სასწაულს დააკნინებდა. ვიცოდი, რომ დე-
დამინა ბრუნავდა და მასთან ერთად ვბრუნავდი მეც, ჩემთან ერთად
კი – სენ-მარტენ-დე-შამი და მთელი პარიზი: ერთად ვბრუნავდით
ქანქარას ქვეშ, რომელიც სინამდვილეში არასოდეს იცვლიდა საკუთა-
რი სიბრტყის მიმართულებას, რადგან იქ, ზევით, იმ ძაფის უსასრუ-
ლო, იდეალური და წარმოსახვითი გაგრძელების გასწვრივ, შორეული
გალაქტიკების უსასრულობაში არსებობდა *მყარი წერტილი*.

დედამინა ბრუნავდა, მაგრამ წერტილი, საიდანაც ის თოკი ეშ-
ვებოდა, სამყაროს ერთადერთი უძრავი წერტილი იყო.

ამიტომ დედამინას კი არა, ცას ვუყურებდი, სადაც აბსოლუტურ-
რი უძრაობის საიდუმლო აღესრულებოდა. ქანქარა მეუბნებოდა, რომ

ყველაფერი ერთად მოძრაობდა: სფერო, მზის სისტემა, ნისლეულები, შავი ხვრელები, დიდი კოსმოსური ამოფრქვევისდროინდელი იონები-ცა და ლორწოვანი მატერიაც, ასე რომ ერთადერთი მყარი წერტილი რჩებოდა, ლერძი, ხრახნი, იდეალური საყრდენი, რომელიც საშუალებას აძლევდა სამყაროს, საკუთარი თავის გარშემო ებრუნა. და ახლა მეც ამ ყველაფრის ნაწილი ვიყავი, ყველასთან და ყველაფერთან ერთად ვმოძრაობდი და შემეძლო, დამენახა ის, რაღაც უძრავი, კლდე, ბურჯი, საყრდენი და საფუძველი, კაშკაშა ღრუბელი, კვამლი, ის, რასაც არც სხეული აქვს, არც სახე, ფორმა, წონა, ოდენობა ან თვისებრიობა, რაც ვერ ხედავს, ვერ გრძნობს და რომლის შეგრძნებაც შეუძლებელია, რომელიც არსადაა, არც დროში, არც სივრცეში, რაც არც სულია, არც გონი, არც წარმოსახვა ან აზრი, არც რიცხვი, არც რიგი, არც საზომი, არც არსი და არც მარადიულობა, არც ჩრდილი და არც ნათელი, არც სიცრუე და არც ჭეშმარიტება.

ვილაცის ხმამ გამომაფხიზლა. სათვალისანი ბიჭი უსათვალო (სამწუხაროდ) გოგოს ელაპარაკებოდა.

– ფუკოს ქანქარაა, – ამბობდა ბიჭი. – პირველი ექსპერიმენტი 1851 წელს ლაბორატორიაში შედგა. მომდევნო ცდა ობსერვატორიაში ჩატარეს, შემდეგი კი – პანთეონის გუმბათში, სამოცდაშვიდმეტრიანი თოკითა და ოცდარვაკილოიანი სფეროთი. ბოლოს, 1855-ში, აქ მცირე ზომის ქანქარა დააყენეს. იმ ნახვრეტში კიდია, ხედავ? თაღების კვეთის წერტილში...

– და რას შვება, ასე ქანაობს და მეტი არაფერი?

– დედამინის ბრუნვას გვიჩვენებს. რადგან დაკიდების წერტილი უძრავია...

– რატოა უძრავი?

– იმიტომ, რომ... წერტილი... როგორ გითხრა... ცენტრში, ნახე... ნებისმიერი წერტილი, რომელიც იმ წერტილების ზუსტად შუაშია, რომლებსაც ხედავ, მიხვდი?.. აი იმ წერტილს – გეომეტრიული წერტილია – შენ ვერ ხედავ, ზომა არ გააჩნია, და ის, რასაც ზომა არა აქვს, ვერც მარცხნივ წავა, ვერც მარჯვნივ, ვერც ზევით, ვერც ქვევით. საკუთარი თავიც კი არ გააჩნია...